„დამტკიცებულია“

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

დირექტორის 2020 წლის 03 აგვისტოს #02-09/106 ბრძანებით

სტრუქტურული ერთეული: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური

პოზიციის სრული დასახელება: საავტომობილო პარკის ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტის პოზიციაზე.

საშტატო სტატუსი: არასაშტატო

ვაკანსიის ოდენობა: ერთი

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

შრომის ანაზღაურება: 1250

სამუშაოს ადგილი: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა N41

გამოსაცდელი ვადა: 06 თვე

ძირითადი მოთხოვნები:

- ✓ აქტიური მოსმენის უნარი;
- ✓ ინფორმაციის შეგროვების უნარი;
- ✓ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება / ანალიზის უნარი;
- ✓ წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადების უნარი;
- ✓ გუნდური მუშაობის უნარი;
- ✓ დროის ეფექტიანად მართვის უნარი;

სამუშაოს აღწერილობა:

ყოველდღიურად მაუწყებლის საავტომობილო პარკში შემავალი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება, მათი უსაფრთხო ექსპლოატაციის შესაბამისობის დადგენა;

მომწოდებელი კომპანიის მიერ მაუწყებლის საავტომობილო პარკში შემავალი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების შემდგომ

თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გაწეული ხარჯების (ავტონაწილები და მომსახურება) შესაბამისობის დადგენა;
შეკეთებული ავტომობილის ტექნიკურ მდგომარეობასთან, მომწოდებელ კომპანიასა და მაუწყებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პრეისკურანტში არარსებული და შეთანხმებით შესასყიდი მომსახურების (მათ შორის ავტონაწილების) მომწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფასის ადეკვატურობის დადგენა;
მომწოდებელ კომპანიასა და მაუწყებელს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობის განხორციელება, დავალებებისა და მითითებების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში;
შესრულებული სამუშაოს შესახებ ყოველთვიური ანგარიშის წარდგენა ხელმძღვანელობისათვის.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

✓ უმაღლესი განათლება

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ

✓ - განცხადება;

✓ - (CV); - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

✓ - ფოტოსურათი;

✓ - დიპლომისა და კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლები;

✓ - სამუშაო გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი დოკუმენტები;

საკონკურსო თემატიკა;

1. საქართველოს კონსტიტუცია;

2. მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონი;

3. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულება;

4.სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის დებულება;

კონკურსის ეტაპები

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად.

პირველ ეტაპზე კომისია გადაარჩევს კანდიდატების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და დაუკავშირდება მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს;

მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა: განაცხადები განიხილება სპეციალური კომისიის მიერ ქულათა სისტემით. განაცხადები მიიღება 2020 წლის 03 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით ელექტრონულად (HR@ajaratv.ge).

გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადა: 2020 წლის 30 აგვისტო.

შენიშვნა:

1. დაინტერესებულმა პირმა გამოგზავნილი ელ-ფოსტის სათაურში (subject) უნდა მიუთითოს სასურველი ვაკანტური პოზიციის დასახელება;

2. კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის განაცხადების რეგისტრაციის შესახებ) დაინტერესებულ პირს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

საკონტაქტო პირი: ემზარ პაქსაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: 577908007

საკონტაქტო ელ-ფოსტა: HR@ajaratv.ge